



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 246

ქალაქი ქუთაისი                      30                      მარტი                      2016 წელი

ქალაქ ქუთაისში, ალექსანდრე ხახანაშვილის ქუჩისათვის ქართველი კინორეჟისორისა და საზოგადო მოღვაწის, რეზო ჩხეიძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1-ლი ივნისის № 239 დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შ ე ს ა ხ ე ბ

„მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1-ლი ივნისის №239 დადგენილების დანართის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტისა და ქალაქ ქუთაისში, ალექსანდრე ხახანაშვილის ქუჩისათვის ქართველი კინორეჟისორისა და საზოგადო მოღვაწის, რეზო ჩხეიძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, შოთა მურდულიას 2016 წლის 4 მარტის №01/4933 წერილობითი მომართვის საფუძველზე:

**მუხლი 1.** ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქართული კულტურისა და ხელოვნების განვითარების საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი და დამსახურება მიუძღვის ქართველ კინორეჟისორსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს სახალხო არტისტს, სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალების ლაურეატს, ღირსების ორდენის კავალერს, რეზო ჩხეიძეს, რომელიც დაიბადა, გაიზარდა და წლების მანძილზე ცხოვრობდა ქალაქ ქუთაისში, ამჟამინდელი ალექსანდრე ხახანაშვილის ქუჩაზე, სადაც გახსნილია მისი სახლ-მუზეუმი.

**მუხლი 2.** ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული ქალაქ ქუთაისში, ალექსანდრე ხახანაშვილის ქუჩისათვის ქართველი კინორეჟისორისა და საზოგადო მოღვაწის, რეზო ჩხეიძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1-ლი ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვება.

**მუხლი 3.** დავალოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, შოთა მურდულიას, უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისში, ალექსანდრე ხახანაშვილის ქუჩისათვის ქართველი კინორეჟისორისა და საზოგადო მოღვაწის, რეზო ჩხეიძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1-ლი ივნისის №239 დადგენილებით განსაზღვრული წესით, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და წარმოდგენა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის.

**მუხლი 4.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 5.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.